საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იელი

იელი

იელი (Rhododendron luteum), ზაფხულმწვანე ბუჩქი როდოდენდრონის გვარისა. სიმაღლე 2 მ აღწევს. აქვს სურნელოვანი დიდი, წინწკლებიანი ყვითელი ან ნარინჯისფერი ყვავილები. გავრცელებულია ცენტრ. და აღმ. ევროპაში, ბალკანეთსა და მცირე აზიაში, კავკასიასა და უკრაინაში.

ი. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება, უფრო მეტად კი – დასავლეთში. იზრდება - ზღვის დონიდან 2000 მმდე ქვეტყედ ტყის პირებზე. სუბალპურ სარტყელში ქმნის ბუჩქნარს – ი ე ლ ი ა ნ ს. ყვავილობს ფოთლის გამოტანამდე ან მასთან ერთად აპრილ-ივნისში. დეკორატიულია ყვავილობისას ან შემოდგომაზე თავისი კაშკაშა წითლად შეფერილი ფოთლების გამო. მისი ყველა ნაწილი შხამიანია. კულტურაში ცნობილია ი-ის მრავალი ჰიბრიდული ჯიში.

მ. სახოკია